№ 120

ხუთშაბათი, 9 ივნისი 1894

1877—1894

# ივერია

№ 120

ხუთშაბათი, 9 ივნისი 1894

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად:**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია"
გამოდის 1894 წელს
**იმავე პროგრამით, როგორც წინად.**

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:
ტფილისი,
„ივერიის" რედაქციას
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას,
სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.
საფოსტო ადრესი:
**ТИФЛИСЪ.** Редакція „ИВЕРІА".

დამზღვევი საზოგადოება
„იაკორი"
(ღუზა)
უმაღლესად დამტკიცებული 1872 წელს.

რომელსაც მირითადი თანხა **2,500,000** მან. აქვს, გარდა სათადარიგო ფულისა.

**დაზღვევა სიცოცხლისა.**

ამით აცხადებს, რომ მის მიერ მიიღება დაზღვევა სიცოცხლისა განსაკუთრებითი სასარგებლო პირობებით იმ შემთხვევისათვის, როცა შრომა აღარ შეეძლებათ. დაზღვეულს მონაწილეობა ექნება აგრეთვე საზოგადოების მოგებაში.

**დაზღვევა ცეცხლისაგან**

მიიღება ყოველნაირი მოძრავისა და უძრავის ქონების დაზღვევა ცეცხლისაგან აგრეთვე ზღვით-მდინარით და ხმელეთით წასაღ-წამოსაღების საქონლისა.

წესები, პირობები წერილობითი და სიტყვიერი მოლაპარაკება განეზიარება მსურველს ტფილისის საზოგადოების გამგეობაში, რომლიც დადგენილია კავკასიის მხრისათვის და იმყოფება ბარონის ქუჩაზე, კალოუბნელის სახლში, ანუ თვით საზოგადოების აგენტის ალექსანდრე პეტრეს ძის ზავრიევისაგან, რომელიც დგას ველიამინოვის ქუჩაზე № 2. (50—1234—11)

გამგეობა **„შუამავალის"** ამხანაგობისა ამით აცხადებს, რომ წევრთ ამხანაგობისამ უნდა წარმოადგინონ შემდეგი საწევრო გარდასახადი ამა მდგომარე თვის დამლევამდე.

ადრესი: Въ контору Товарищества „Посредникъ". (3—2)

ხუთშაბათს, 9 ივნისს
მიხეილის ბაღის საზაფხულო სცენაზედ ქართული მგალობელთა ხორო ბ-ნ რატილის ლოტბარობით გაჰმართავს

**კონცერტს.**

შესრულებული იქნება ხორის მიერ:

I

„ცხენოსნური", „სალამს გიძღვნი", „ორთავ თვალის", სოლოს შეასრულებს ხორის აკომპონიმენ. ბ-ნი ი. რატილი. „ახ! მეზურნე", „ვის რა უნდა", „დიდება" სოლოს შეასრულებს ხორის აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი.

II

„გალიაში", „მიდის გემი", „ეს ბაღი", სოლოს შეასრულებს ხორის აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი. „ნანა", „შევსვათ ხელადით", „გაიფურჩქნა" სოლოს შეასრულებს ხორის აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი.

III

„საშოვნელს ნაშოვნი სჯობის"

ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი
[illegible] ქ-ნი [illegible] ბ-ნნი [illegible] და ადამიძე.

IV

„ჰონა", „ლაჟვარდ ცაზედ", შეასრულებს ხორის აკომპონიმენტით ბ-ნი ი. რატილი „მგზავრული", „მარში მგალობელთა", „დილა", სოლოს ხორის აკომპონიმენტით შეასრულებს ბ-ნი რატილი.

ბაღში 7 საათიდამ დაუკრავს სამხედრო მუსიკა.

კონცერტი დაიწყება $8^1/_2$ საათზედ. (2—2)

ტფილისი, 9 ივნისს

ჩერქეზებისა და აფხაზების გადასახლების შემდეგ შავის ზღვის პირის ადგილები დარჩა სრულიად უპატრონოდ.

რამდენისამე ათასის წლის განმავლობაში დამუშავებული მიწა-წყალი, საკვირველი მეურნეობა და ოჯახობა, როგორც ჰმოწმობს კარგი და კეთილშობილი მკვლევარი ჩერქეზთა ცხოვრებისა პოლკოვნიკი პოტტო, გარეულთა ნადირთა ბინად შეიქმნა, ყოველივე გავერანდა და აღიგავა; ნაცვლად სიცოცხლისა და ჩინებულის კულტურისა, ჩერქეზთა სამშობლოს სიბნელე და დუმილი მოეფინა.

მაგრამ გავიდა ხანი და მთავრობამ საჭიროდ დაინახა აქა-იქ შავის ზღვის ნაპირებზედ დაებინავებინა სხვა-და-სხვა ტომის ხალხი. ამ განზრახვით ახალმოშენეთ მრავალი შეღავათი და შემწეობა მიანიჭეს: განათავისუფლეს იგი სახელმწიფო გადასახად-საგან, მიუზომეს დიდძალი ადგილები, მისცეს საშუალება ოჯახის გაწყობისა, პირუტყვის მოშენებისა და სხ. [illegible] ნა და ასე საიმედოდ დაბინავებულნი ახალ-მოშენენი ნელ-ნელა ან ხელა-ხელავ წავიდნენ ისევ თავისს ქვეყანაში, ან, რომელთაც უფრო დაყინებული სურვილი გამოიჩინეს დარჩენისა ახალს სამშობლოში, სულ მთლად ამოწყდნენ.

უმთავრესი მიზეზი ასეთის მოვლენისა ის იყო, რომ ახალ-მოშენენი, რომელნიც დაბინავდნენ შავის ზღვის ნოტიო—ქვეყნებში, სრულიად უღონონი იყვნენ აეტანათ იქაური ჰავა, მტკიცედ მოეკიდათ ფეხი და შეეთვისებინათ ის პირობანი, რომელნიც წილად ხვდათ ამათ წინანდელ ამ ქვეყნის მობინადრე ჩერქეზთაგან.

ამიტომ მთავრობამ ერთს ხანს შესწყვიტა მეცადინეობა შავის ზღვის პირის დასახლებისა მაგრამ ახლა, როგორც სოხუმიდან გვწერენ, ხელახლავ აღძრულა ლაპარაკი იმის შესახებ, რომ ეს ადგილები ისევ რუსებით დაასახლონ. ამ სახით მთავრობას განუზრახავსო, რომ ნოვოროსიის მხარე, რომელიც ეკუთვნის ყუბანის განყოფილებას, შეაერთოს ბათუმისა და სოხუმის მხარეს და საშუალ ადგილად ამა ქვეყნებისა დანიშნოს სოხუმი.

ჩვენ არ ვიცით რამდენად საფუძვლიანია ამ გვარი ხმა; ვერას ვიტყვით რასმე იმაზედაც, თუ რამდენად სასიკეთო იქნება ასეთი ადმინისტრატიული ცვლილება; მაგრამ რაც შეეხება შავის ზღვის პირის დასახლებას რუსეთის შიდა გუბერნიების გლეხებით, ამის გამო-კი უნ- [illegible] დენტს, რომ ეს ამბავი მაინც და მაინც სარწმუნოდ არ მიგვაჩნია.

არ მიგვაჩნია სარწმუნოდ ჯერ ერთი იმიტომ, რომ გამოცდილებამ დაანახვა მთავრობას სრული შეუძლებლობა ასეთის განზრახვისა: არა ერთი და ათი რუსთაგან დასახლებული სოფელი მოისპო ამ ქვეყანაში რამდენისამე წლის განმავლობაში..- მაშ

## ფელეტონი

ქაჯი-ძებნია

II

(შემდეგი*)

გაზაფხული იყო. ახლად ამწვანებულ მინდვრებზე აქა-იქ მოჩანდა მიწის მხვნელნი. ზამთრობით შესვენებული ხარები მარდად მიაქანებდნენ კავს. გაალმასებული სახნისის პირი ღრმად ჩადიოდა დედამიწის გულში და ორსავე მხარეს ფართო ბელტები ეფინებოდა. სოფლის პატარა მწყემსებსაც გამოერეკათ საქონელი. საძოვარ მინდორზე სხვა-და-სხვა ფერი საქონელი დასეოდნენ ახლად წამოსულს მოლს და წიწკნიდნენ. დაუდეგარი თხები-კი იქვე გზის განაპირა ჩირგვებს შესეოდნენ, ეპოტინებოდნენ, ამტვრევდნენ და ხრავდნენ ახლად გამოკვირტულ ტოტებს. პატარა მწყემსებიც არ იყვნენ მოწყენილნი: სასოფლო გზის ნაპირას, ერთი ჩირგვის ძირად დამსხდარიყვნენ და კენჭაობიას თამაშობდნენ.

ყველა ხარობდა მშვენიერის ბუნებით, რომლის სიუხვე, სილამაზე თინიას ისლით დახურულ ქოხსაც-კი დასტყობოდა. დასუფთავებულ კარმიდამოში ადამიანს თვალსა და გულს გაუნათლებდა, თითოეულს ყვერულს რომ სამოც, ოთხმოცი წაწილა მისდევდა. სრულებითაც ვერ წარმოიდგენდა ამ საქმის უცოდინარი, თუ ეს ყვერულები დედის ნაცვალი-კი არა, ნამდვილი დედა არ იყო წიწილებისა, ისე გაფაციცებით უვლიდნენ ეს უენო ფრთოსანნი თავიანთ გერებს.

ახლა თინიასაც გაადვილებული ჰქონდა საოჯახო შრომა. ათის წლის დიმიტრიას, ჩინებულად შეეძლო საქონლის მომწყემსვა, რის გამოც თინიამ თხები მოიშენა და მუდამ გამოულეველი ჰქონდა რძე და ყველი. ღორებიც ბლომად ჰყავდა. საშობაოდ ორას-სამის თუმნის ღორს გაჰყიდდა ეს ქვრივი დედაკაცი და მტერმოყვარესთან პირნათლად გამოდიოდა ყოველ საქმეში.

დღესაც შვილს თხები გაარეკინა თინიამ და თითონ-კი ბოსტნის კვალებში ჩამჯდარი მარგლიდა ახლად წამოსულ მწვანილს.

სალამოს ჟამი მოახლოვებული იყო და თინია ხშირად იხედებოდა ჰისკრისაკენ. აგერ ბინდმაც მოატანა, ქათმები ხეზე შეფრინდნენ, თინიამაც ხელი აიღო მუშაობაზე და ვახშმის მზადებას შეუდგა, მაგრამ რაღაც ვარამი ლოდივით ედო გულზე და წამდაუწუმ ჰისკრისაკენ იხედებოდა.

— რა ვქნა, რად დაიგვიანა ამ ბიჭმა! ვაი თუ ამხანაგებთან თამაშს შერჩა და თხები გაებნა სადმე!.. სხვიმის არ დაუგვიანებია ასე და ახლა რა ამბავია, რომ არ ვიცი!.. ჩაილაპარაკა თინიამ და გასწია ჰისკრისაკენ, რომ გული დაემშვიდებინა მომავალ შვილის დანახვით, მაგრამ რაკი მისი შვილი არა სჩანდა, საჩქაროდ გადახტა ჰისკარზე სასოფლო შარას დაადგა და გასწია მინდვრისაკენ.

— დიმიტრია რა იქნა თუ იცი, ილიკო?—შესძახა შეწუხებულმა თინიამ მეზობლის პატარა ბიჭს.

— უჰ, იმან რამდენი ხანია გამორეკა თხები. როგორ, არ მოსულა ჯერ?

— არა დედაშვილობამ, რავქნა რა წყალს მივსცე თავი?.. სთქვა თინიამ და გზას გაუდგა.

— რისი გეშინია ბიცოლა, — მიაძახა, პატარა ბიჭმა:—დაბინდებამდინ ერთად ვიყავით, მერე, მე წისქვილში წავედი საქმე მქონდა და, იმან მითხრა ეხლავე წავალ სახლშიო. ალბად სხვა გზით წამოვიდა და მოვა საცაა, იქნება კიდეც მოვიდა სახლში აქნამდინ, რა იცი?

თინიას, როგორღაც ჰკუაში მოუვიდა ამ ბიჭის სიტყვა და მართლა გამობრუნდა სახლისაკენ იმ იმედით, რომ თუ მეორე გზით წამოვიდა ჩემი შვილი, უთუოდ ავცდი გზაზედაო. მიუახლოვდა ეზოს და პირველად სათხებოს გადაავლო თვალი, მაგრამ, რაკი თხები ვერ დაინახა გულ-გახეთქილი ქალი ისევ გაუდგა გზას.

ორმოცი საჟენი არ გაუვლია თინიას, რომ დაფეთებული თხები ზედ გზაზედ შეეჯახნენ.

— სადა ხარ შვილო, ამოდენ ხანს, რაზე მომკალი შენი ჯავრით შენ გენაცვალე. მიაძახა თინიამ; ეგონა ამ თხებს ჩემი შვილიც უკან მოსდევსო, მაგრამ არსად იყო.

საბრალო დედას სიმწრის ოფლი ასკდებოდა, სული ველარ მოებრუნებია, არც ღამის სიბნელე და არც მარტოკაობის შიში იმას აღარ აყენებდა: გარბოდა გაშფოთებული და რამდენადაც მის შეწუხებულს გულს შეეძლო, იმდენად ხმა მაღლა უძახდა შვილს მაგრამ, ამაოდ.

— დიმიტრია, შვილო დიმიტრია, სადა მყევხარ დედა გენაცვალოს ვაი თუ წყალში დამერჩვე შვილო, ან თუ მგელმა შემიჭამა შენი თავი რა ვქნა შვილო. მიდიოდა თინია და მისტიროდა ამ საშინელს ბნელს ღამეში.

— ვინ ხართ ქრისტიანებო? მიშველეთ შვილი დამეკარგა. შესძახა თინიამ ორს მგზავრს.

— რა დაგმართვია თინია, რა იყო? მიუგეს მგზავრებმა.

— ოჰ შენ ბძანდები მამასახლისო?—შესძახა თინიამ.—რაღა რა დამმართვია დავილუპე შენიჭირიმე შვილი დამეკარგა. მე უბედურმა თხები გავატანე საძოვარზე, ეს ერთი წელიწადია სულ ის მწყემსავს და და არაფერი ცუდი დამართვია. ეხლა ის მგლის არჩივები-კი დამფრთხალები მოცვინდნენ, მაგრამ ბიჭი არსად არის. რა ვქნა, ბატონო მიშველე რამე შენი ღვთის გულისათვის. ევედრებოდა თინია ცხარე ცრემლის ფრქვევით.

— რას შეგშინებია შე უბედურო, ამხანაგებს გაჰყვებოდა სადმე, ნუ გეშინია ახლავე მოგიძებნით. თანაგრძნობით მიუგო მამასახლისმა თინიას და თავის თანაშემწე მეორე მხარეს გაგზა-

*) იხ.) „ივერია", № 119.

რომელის გონიერის მოსაზრებით უნდა იხელმძღვანელოს მთავრობამ, რომ ხელახლავ იგივე შეცთომა განიმეოროს და ჩრდილოელ მკვიდრთა ბუნებისათვის აუტანელ ქვეყნაში ჩამოჰყაროს ხალხი?

ამას გარდა, მთავრობას თუ საჭიროდ მიაჩნია შავის ზღვის პირი უეჭველად დაასახლოს, რა მიზეზია, რომ ამ ადგილებს არ მიანიჭებენ ისევ საქართველოში მცხოვრებს ხალხს, რომლის ნიჭსა და ერთგულებაზე, რასაკვირველია, მთავრობას ეჭვი არაოდეს არ უნდა ჰქონდეს! ასეთი უმიწაწყლო ხალხი მრავალია: იმერეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმსა და რაჭაში, სადაც ფასი ქცევა ადგილისა სამას თუმნამდე ადის.

თუ მთავრობას განზრახვა აქვს, რომ შავი ზღვის პირი დაასახლოს, პირველად უნდა ვიგულისხმოთ, რომ მიწვეული იქნებიან საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხის მცხოვრებნი, რომელთათვის არც ბუნება იმ ქვეყნისა იქნება საშიშარი და არც სხვა რომელიმე დამაბრკოლებელი გარემოება.

იგივე პოტტო, რომელიც ჩვენ ზე[მო]თ მოვიხსენეთ, ამბობს, რომ დღესაც აუარებელი ძვირფასი სამხრეთის ხეხილი და ვენახი მოიპოვება ჩერქეზეთში, რომელიც ტყედ წასულა და მზრუნველ ხელს მოელისო...

მერე ვის შეუძლია უოველსავე ამას მოუაროს გაგებულად, თუ არა ისევ ქართველს, რომელსაც [illegible] მვეყანაში?

[გ]არდა ამ თვალსაჩინო უპირატესობისა ქართველის ტომისა სხვა ტომთან შედარებით, კიდევ მრავალი ისეთი გარემოებაა, რომელსაც მთავრობა უთუოდ მიიღებს მხედველობაში, როდესაც ამ საყურადღებო საგნის გადაწყვეტას მოინდომებს.

მეველე

## ახალი ამბავი

—

*** რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელში, წელს 58 მოწაფე სწავლობდა, ამათ შორის 12 ქართველი. წრეულს სწავლა დაამთავრა სამმა ქართველმა: ბერიძემ, მიქელაძემ და ზალდასტანიშვილმა დარჩენილია კიდევ ცხრა ქართველი. ექვსი მეორე კლასში გადასულია; ორი, ჩაჩავა და ჯულაბიშვილი, მესამე კლასში. ერთიც გოგუა, მეორე კლასშივე დარჩენილა. მეორე კლასში უეგზამენოდ გადუყვანიათ: ხატიშვილი, ჟორდანია და მარგანიძე. ეგზამენით გადასულან: ჰიჰინაძე, ენუქიძე და ყიასაშვილი. ორი მოწაფე, რომელიც მესამე კლასში გადასულან, ჩაჩავა და ჯულაბიშვილი, სახელმწიფო ხარჯით არიან მიღებულნი პანსიონში.

წრეულს პირველ კლასში 25 ყმაწვილის ვაკანსია იქმნება.

*** მიხეილის ფერშალის სასწავლებელში წელს სწავლა დაამთავრა 10, მათ შორის ხუთი ქართველია: ე. ბ. ებრალიძე ს. კ. რამიშვილი, გ. ი. დოლიძე ვ. ს. საჯაია გ. ზ. ბაიაშვილი.

*** გუშინ-წინ სოფ. დიღომთან, მდინარე მტკვრის ნაპირს ნახეს გვამი ვიღაცა ქალისა, რომელიც თოკით ფეხებ-შეკრული იყო და ხელებზედ კი თოკის ნაგლეჯები ეკიდა. პირველად ის გვამი შენიშნა კანდუქტორმა, რომელიც კავკავიდამ მოდიოდა ქალაქში და გამოუცხადა პოლიციის პირველ ნაწილის ბოქაულს, რომელმაც ეს ამბავი აცნობა ტფილისის მაზრის უფროსს, რადგანაც ქალაქ გარეშე იყო ნახ[ნუ]ლი გვამი. მაზრის უფროსმა საჩქაროდ გაჰგზავნა მოხელე და აღმოჩნდა, რომ გვამი სრულებით გასივებულ-გაშავებულიყო, ასე რომ ცნობა აღარ შეიძლებოდა. გვამი მიხეილის საავადმყოფოში მოიტანეს გასაჭრელად.

*** ცხინვალი. ეს მეორედ ესტუმრა ცხინვალელებს საქონლის ჭირი და აღარ იციან, რა ჰქნან.

*** იქიდამვე. გასულ მაისამდის ციოდა და ამ თიბათვის პირველ რიცხვებიდგან სიცხეები დაიჭირა. მოსავალს კარგი პირი უჩანს.

*** ქუთაისი: ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა არჩევა მომავალის 4 წლისათვის 5 ივნისს უკვე დაამთავრეს ხარაზოვის თეატრში. დილის 10 საათზედ ქალაქის მოურავმა ბ-ნმა ლოლუამ განაცხადა, რომ კრება დაწყებულიაო. ამრჩეველი 434 იყო, თუმცა სულ 288 გამოცხადდა. კენჭის ყრის სურვილი 40 განცხადა. 29 მაისს ამო[ა]რჩეულთა რიცხვს კიდევ 10 აკლდა და 8 კანდიდატი, მაგრამ ამორჩეულნი იყვნენ მხოლოდ რვა 1) ჯორჯიკია სპირ. ბეს.—199—თ. 88 შ. 2) გაბაშვილი ის. გიორგ.—182—105; 3) პეტრიაშვილი ვას. ივ.—179—108; 4) კაზაკოვი იაგორ თეოდ. 164—125; 5) ქუთათელაძე მიხ. ნიკ.—157—130; 6) ჩიკვაიძე დიდიმ ნიკ.—148—139; 7) ბოკერია დმ. ზაალ.—148—140; 8) ბახტაძე დმ. მიხ.—146—141. ამ გვარად ქუთაისის ახალი საბჭო შესდგება 36 ხმოსანისაგან, თუ ვაჭარი წიკორიძეც არ ჩავთვალეთ, რომელმაც 29 მაისს თეთრი კენჭი მეტი მიიღო შავზედ, მაგრამ, როგორც ასისტენტმა სთქვა, ყუთი გატეხილი [illegible] თეთრში გადაცვივდაო. თუ საქალაქო საქმეთა საკრებულო კანონიერად ჩასთვლის წიკორიძის არჩევანს, მაშინ 37 ხმოსანი იქნება 38 მაგიერად.

*** სოხუმი: 17 მიისს შესდგა ვაჭრების სახარკო კრება სოხუმის ხაზინაში და ჩვენ დიდი იმედით შევყურებდით ამ კრებას, რადგან მოველოდით საქმის წესიერად გასჯას. მაგრამ ბედმა გვიმტყუნა და საქმე სულ სხვანაირად დატრიალდა. საკვირველიც არ არის ამ ნაირად საქმის წასვლა, რადგან ამ კრებაში ისეთი ხმოსნები ამოირჩიეს, რომელთა უმრავლესობას, გარდა პურისფქვილის ვაჭრობისა, არა გაეგებათ-რა; ამ ნაირ კაცებს უნდა გაერჩიათ და დაედგინათ არა თუ მარტო თავიანთის ვაჭრობის წლიური თანხა და წმინდა სარგებელი, არამედ სხვებისაც. მაგალითებრ, სმათის რჩევით დაადგინეს, რა სარგებლობა ექნება აფთიაქსა და სტამბას. შეიქმნა ერთი დავა და ყაყანი, ყველა თავისთვის სცდილობდა და არა საერთო საქმისთვის და ბოლოს დაადგინეს: წმინდა სარგებელი საწვრილმანო მაღაზიას მანეთზედ ექნება 10%, ბაზაზს 15%, ფიცრების საწყობს—6% აფთიაქს—30% და სტამბას 45%. აი აქედგან სჩანს, რა ცოდნა და ანგარიში ჰქონიათ აქაურ ვაჭრებს, როდესაც აფთიაქს შეაწერეს 30%-ი სტამბას-კი 45%. სად გაგონილა, რომ სტამბის პატრონს, ყოველსავე ხარჯს გარდა, დარჩენოდეს წმინდა სარგებლობა მანეთზედ 45%? ვისურვებთ, რომ შემდეგში ღმერთმა აგვაშოროს ამნაირ ხარჯის გამნაწილებელთ.

*** ივნისის 7 სახალხო სასწავლებლის დირექტორმა ნიკოლოოზ პეტრეს ძე დარსკიმ, რომელიც ავჭალის ქუჩაზე სცხოვრებს პოლიციაში გამოაცხადა, რომ სამწერლო სტოლის უჯრიდგან 300 მანეთი მომპარესო, დამნაშავე ამ საქმეში სარატოვის მცხოვრებელი ქვრივი ქალი ავდოთია გორბუნოვისა შეიპყრეს და სამოცი მანეთი ზედვე უპოვნეს.

*** ამავე დღეს პოლიციელმა შეიპყრო ალექსი მარინოვი და თევდორე გორბუნოვი, რომელთაც რკინის გზის სადგურის მახლობლად სახელმწიფო შენობიდგან თუჯის სამი პლიტა მოეპარათ და მიჰქონდათ.

### სიტყვა ა. გ. ბუჭყიაშვილისა

გაზ. „Кавказъ“-ს გენერალ-ლეიტენანტის ა. ბ. ბუჭყიაშვილის თხოვნით დაუბეჭდია მისი სიტყვა, წარმოთქმული ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის კრებაზედ 31 მაისს იმის შესახებ, რომ დეპუტაცია იქმნას გაგზავნილი და მიელოცოს დანიშვნა მემკვიდრე ცესარევიჩსა და პრინცესა ალისა ჰესენისას და აგრეთვე დიდს მთავარს ალექსანდრე მიხეილის ძესა და დიდს მთავრინას ქსენია ალექსანდრეს ასულს. აი ეს სიტყვა:

„ჩემის აზრით, დეპუტატებად ასეთს სადღესასწაულო შემთხვევაში უნდა ამორჩეულ იქმნენ განსაკუთრებით წარჩინებულნი და დიდად დამსახურებულნი კაცნი. ასეთებად ჩაითვლებიან დიდად პატივცემულნი თ. ზაქარია გულბაათის ძე ჭავჭავაძე, თ. ივანე გივის ძე ამილახვარი, თ. მიხეილ ქაიხოსროს ძე ამირაჯიბი და თ. გიორგი სპირიდონის ძე ხიმშიაშვილი. ესენი თავისის პირადის ღირსებით, საკვირველის დამსახურებით და დიდის ხარისხით სწორედ შესაფერნი არიან ამ საქმისა. თუ ამათ შეუერთეთ ჩვენი პატივცემული თავად-აზნაურობის წინამძღოლი, უმაღლესის კარის კამერგერი თავ. მაღალაშვილი, ისეთი სურათი გარდაიშლება ჩვენთა თვალთა წინაშე, რომლის სწორიცა და ბადალიც ცხოვრებაში არ მოიძებნება და რომლის შექმნაც მხოლოდ აღფრთოვანებულს ოცნებას შეუძლიან. თუ ვინიცობაა რომლისამე მიზეზით თავ. მაღალაშვილმა მონაწილეობა ვერ მიიღო ამ დეპუტაციაში, მაშინ სხვა შესაფერი და სათანადო კაცი უნდა იქმნას ამორჩეული. ბევრია იმპერიაში დიდად ღირსეული კაცი, მაგრამ იმათ არა აქვთ ყოველი ის კარგი თვისება, რომლითაც სხვათაგან განსხვავდებიან ჩვენნი დიდად პატივცემულნი წარმომადგენელნი. მე ჩემის მხრივ გთხოვთ და, მგონი, ამ ჩემს თხოვნას სხვანიც შემოუერთდებიან, რომ თქვენ, ჩვენო დიდად პატივცემულნო თანამოწევრენო, იკისროთ წოდება დეპუტატისა. ეჭვი არ არის, რომ საზოგადო ყურადღებას მიიქცევთ და თქვენის ხილვით გაახსენებთ ყველას, რომ მართლაც ღირსეულნი შვილნი ხართ ოდესმე ძლიერის სახელმწიფოსი. გთხოვთ იკისროთ ეს წოდება იმისთვისაც, რომ თქვენ კვლავ აღუდგენთ მეხსიერებაში განათლებულთა კაცთა ქველობასა ჩვენის ერისას, იმ ერისას, რომელთა ზედაც განვლო აზიის ურდოთა სიმრავლემ და აქ უვიცობა თვი-

---

ვნა ყმაწვილის საძებრად, თითონ-კი თინიას გაჰყვა.

— თინია, შენ წადი სახლში, ნუ გეშინია, ჩვენ ვიპოვით სად[ა]ც არის და მოგიყვანთ. ჩემს ცოლ-შვილს გეფიცები, ჩემის ფეხით მოვივლი ყველა მეზობლებს და ვიპოვნი შენს შვილს. უთხრა მამასახლისმა, როცა ცოტა გზა გაიარეს.

— სახლში რა წამიყვანს შენი ჭირიმე, თავი უნდა მოვიკლა თუ ვერ ვიპოვნე ჩემი დიმიტრია. მიუგო თინიმ და გული უარესად ამოუჯდა საბრალო დედაკაცს.

— შენი ნებაა, მაგრამ ტყუილად რომ იარო, რას გააკეთებ. მე ვიპოვნი უეჭველად, თავს ნუ იკლავ შე უბედურო, ღმერთს განა სამართალი არა აქვს? სულ შენზე ხო არ მოიცლის, ნუ გეშინია წადი სახლში და მეც ეხლავე შენი შვილიანათ გავჩნდები შენსა.

— ჰა, არ შეიძლება. რა ოხრად მინდა ჩემი თავი, იქნება შვილი წყალში დამრჩვალი, ან ნადირთაგან მკვდარი მყავს და მე სახლში დავდგე? რას მიბრძანებ მამასახლისო მე უბედურს!

მამასახლისს ხმა აღარ ამოუღია ისე გაჰყვა თინიას და ვინც კი შემოხვდებოდათ ყველას ჰკითხავდნენ, მაგრამ ვერა გაიგეს-რა. სოფელს ჩქარა გასცდნენ, გავიდნენ მინდორზე, მოიარეს მდინარის ნაპირები, იკითხეს წისქვილში და ახლა მეორე გზას გაუდგნენ საძებრად.

გათენებამ მოატანა, როდესაც გულმკერდ გასისხლიანებული თინია და მამასახლისი ამაო ძებნის შემდეგ სახლისკენ დაბრუნდნენ... თინიას ქოხიდგან სანთლის შუქი გამოჰკრთოდა. დერეფანში რამდენიმე კაცი იყო გაჩერებული და რაღაცაზე ლაპარაკობდნენ, ძაღლების გულ-შემზარავ ყმუილზე თითქო მაძღლდნენ, ბანს აძლევდნენ განუწყვეტლად გაჰყიოდნენ.

— აჰა შე უბედურო, თავს რომ იკლავდი ხომ უპოვნიათ შენი შვილი. ხედავ სინათლეა შენს სახლში? უთხრა მამასახლისმა დასამშვიდებლად თინიას, მაგრამ საბრალო დედაკაცს, თითქო გული შუა გაეპოო, როცა დერეფანში მდგომ, მეზობლებს შეხედა. ის მიიჩქაროდა სახლისკენ, მაგრამ მუხლთ მოეკვეთა, ფეხებს ძლივს მიათრევდა და ძლივს ძლივობით სახლთან მიახლოვებულმა წამოილულლულა!

— რა ამბავია, დავიღუპე? მითხარით სადაა ჩემი ბიჭი!.

— მშვიდობა, ნუგეშინია, ვიპოვნეთ. უპასუხა მამასახლისისაგან გაგზავნილმა კაცმა.

— ნახეთ შენი ჭირიმე,—წამოიძახა გახარებულმა თინიამ და შევარდა სახლში.

—ვნახეთ, მაგრამ, შეშინებულია, ძლივს ჩაეძინა და არ გააღვიძო მიუგო იმანვე.

— რა ამბავია ჩემს თავს, რამ შეაშინა; მივარდა თინია ლოგინს, სადაც უძრავად იყო, ცხვირ-პირ გასისხლიანებული დიმიტრია.

— შვილო, ვაი შენს დედას, ეს რა ამბავია, ვინ დამღუპა, ვინ მომიკლა შვილი შეჰკივლა თინიამ და გულ-წასული, მიწაზედ დაეცა. ძლივს ძლივობით მოაბრუნეს თინა... ანუგეშებდნენ, არწმუნებდნენ, რომ ცოცხალია, მაგრამ, გალახულიაო და მიზეზი-კი არავინ იცოდა.

— მითხარით თქვენი ღვთის გულისათვის, ვინ გამილახა ეს ჩემი ერთად ერთი შვილი; ვის რა დაუშავა, რა აწყენია ამოდენა, რომ ასე მოიკლა. რას მემართლებოდა ის ულმერთო. ტირილით ეკითხებოდა თინია შვილის მპოვნელს.

— არ ვიცი ღმერთმანი! თქვენ რომ მოგცილდით, თითქმის შუაღამემდინ დავდიოდი და ვეძებდი, მაგრამ ვერაფერი გავიგე. ბოლოს ვიფიქრე იქნება დალალულ ბოვშს მიეძინა სადმე თქო და ყური მახვილად მეჭირა, რომ ან მძინარის სუნთქვა გამეგონა, ან ჩემს დაძახილზე გამოღვიძებოდა და ხმა მოეცა; როცა მივუახლოვდი მაღლარს, კიდევ დავუძახე და ამ დაძახილზე, ტყიდგან საშინელი კვნესა შემომესმა. ცოტა არ იყოს შევშინდი, რადგან ის ადგილი ნაძრახია, ვიფიქრე მავნე არა იყოს რა მეთქი, მაგრამ გულმა აღარ მომითმინა და გავსწიე იქით, საიდგანაც კვნესა მესმო[და]. ეს ხმა, ხან მისწყდებოდა, ხან ისევ მომესმოდა. შევედი შეუდექი ტყეს, კვნესა უფრო და უფრო გარკვევით მომესმა რისგამოც დავრწმუნდი, რომ ადამიანის ხმა იყო. როცა მივუახლოვდი, იღბლად წუმწუმა ჯიბაში მქონდა, საჩქაროდ მოვუკიდე და საბრალო ბოვში უძრავად მდებარე-კი ვნახე. ისე შემეშინდა, რომ აღარ ვიცოდი რა მექმნა. არ მეგონა თუ მეც თავს არ დამეცემოდა და არ შემჭამდა ის წყეული რაღაც იყო. ღმერთმა უშველოსთ ამ ბიჭების სიმღერის ხმა შემომესმა, ცოტათი გავთამამდი, დავუძახე და მომეშველნენ, თორემ ჩემი საქმე ცუდათ იქმნებოდა!.. მეც გამაფუჭებდა ის ბალან-დამწვარი. ამბობდა მამასახლისის თანა შემწე.

— არა, ეს დანა ვილან მისცა იმ წყეულს? სთქვა ერთმა იქმყოფთაგანმა და დაუწყო ქარქაშიან გრძელ დანას თვალიერება.

— კაცო, ეშმაკი დანას ვერ იშოვის? ის კიარა, რასაც მოინდომებს, ყველაფერი თავის თავად გაუჩნდება თურმე. დაუმატა მეორემ.

— რა დანაა, მაჩვენეთ. წამოიძახა თინიამ.

— რად გინდა, მაგას ხელი რავა მოეკიდება ქაჯის ნაქონია, დასწყევლოს ღმერთმა. მიუგო მამასახლისმა.

— ხელს მოუკიდებ-კი არა, აწი ამ ტყეს აღარ მოვეშორდები და ამ ხელით დავკლავ ჩემი შვილის გამზრდელ ქაჯს, ტირილით სთქვა თინიამ და [illegible] რესობა ეტყობოდა: დამტვრეულ დაჩეჩქვილი ძვალი-რბილი დაუწყლულოდა და ჩირქი სდიოდა. დედის კითხვაზე ძლივს წამოილულლულა; „ქაჯი“ ამის მეტად ენა აღარ დაუძრავს ისე იტანჯებოდა თელი კვირა. რასაკვირველია, ეჭვიც არავის ჰქონდა რომ დიმიტრიას ქაჯი დახდომოდა და იმას გაელახა.

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

სი განიბანა საქართველოს სისხლით. თქვენ გაახსენებთ მთელს ქვეყნიერებას, რომ შთამომავალნი ხართ იმ ერისანი, რომელიც დაუძლეველი დაბრკოლება იყო ისლამის გავრცელებისა, რათა მას არ დაეთრგუნა ქრისტიანობა, ეს წყარო უსაზღვრო ზნეობისა და განათლებისა. ყოველის თქვენის წარმატებით თქვენ გაახარებთ გულსა თქვენთა თანა მემამულეთა, რომელთაც დიდი ხანია თქვენით თავი მოსწონთ, თქვენით ამაყობენ“.

ამ სიტყვას გრება დიდის ტაშის-ცემით მიეგებს.

---

# დამავიწყდი

—

იგი მე, რომელსაც მამისა თვისისაგან არა უსწავლია არცა ერთი ხელობა, არცადა მოვალეა არჩინოს თვისი მშობელი.

სოლონი

**

თავისუფლებას მოკლებულია იგი, ვისაც თავისი თავის დამორჩილება არ ძალუძს.

ქართული თქმულება.

**

ვით მზე ცხოველი, ცხოველია სწავლის უფლება.

ვ. ორბელიანი.

---

## N...

სიდგან მოფრინდი, სად, ვისთან,
ვის მაცოცხლებლად, ვის მკვლელად?
ოცნების საგნად ვის ჰსახავ,
ან რას უწოდებ სახელად?
გვირგვინო ნათელ-მომფენო
და სიხარულო გულისავ,
ცით მობერილო ნუგეშო,
ჰაერავ სიყვარულისავ!
ჩემს სულს, გულს, გრძნობას, გონებას
გუნდრუკად გიკმევ, ყვავილო,
ცის შნოვ და მიწის დიდებავ
ეშხ მფრქვევად გადაფურჩქვნილო!...
არას გთხოვ ნაცვლად... მხოლოდ-კი
ხანდახან მომიგონებდე,
და წყლულის გულის მალამოდ
ტკბილ ღიმილს გამაგონებდე!...

გრ. აბაშიძე

---

## კათალიკოზნი საქართველოს ეკკლესიისა

### (408—1811 წ.)

(შემდეგი*)

**ქრისტეფორე.** 1639—1660 წ. თ. ამილახვარი, ურდობეგის ძე. ამის წინად იყო მთავარ-ეპისკოპოსად და თავის მეტოქად ქ. ტფილისში ააშენა ხელ-ახლად თემურლანგისაგან შემუსვრილი კვირაცხოვლის საყდარი ,რომელიც ამ ცოტა ხანში დაანგრიეს და საკურთხევლის ნაალაგევზედ ააშენეს ძროხის შესანახი ფიცრული. თუმცა უწმ. სინოდის უკაზით—ან ბაღი უნდა გაშენებულიყო, ან ნიში აღგებულიყო. მორწმუნე ქრისტიანე ქართველნი დღესაც ყოველ შაბათს საღამოს ანთებენ სანთელს გამურულ ქუჩის კარებთან. ამის დროს საქართველოში მოვიდა ანტიოქიის პატრიარქი მაკარი 1653 წ. (ქ-ცხ. 49 გვ. древ. гор. Тифл. Іосс. 59 გვ.). ამისავე დროს მოვიდა საქართველოში იერუსალიმის პატრიარქი პაისიოსი და თეიმურაზთან ერთად წარვიდა მოსკოვში 1659 წ. ქრისტიანობის შემწეობა-მფარველობის სათხოვნელად. (Переп. LXIV გვ.). ამა ქრისტეფორეს თხოვნით როსტომ მეფემ განუტევა და გზა მისცა იმერეთისაკენ დამარცხებულს თეიმურაზს 1648 წ., რომელსაც იმერეთის საზღვრამდე ქრისტეფორე თან იახლა და გააცილა. ქ-ცხ. 123 გვ. ანჩისხატის ტაძრის სამრეკლოზედ დღესაც ინახება ამა ქრისტეფორესაგან შეწირული ზარი წარწერით.

**დომენტი.** 1660—1676 წ. ძე ქაიხოსრო მუხრანბატონისა. კათალიკოზად ეკურთხა 15 ოქტომბერს 1662 წ. (Посл. Іерус. патр. Досив. 14 გვ.). „მოკვდა კათალიკოზი ქრისტეფორე, დასვა მეფემან (ვახტანგ V) ბიძაშვილი თვისი დომენტი, კაცი ღირსი საყდრისა“. (ქ-ცხ. 51 და 249 გვ.). იყო დიდი საყვარელი და პატივცემული მეფისა მიერ (ვახტანგ V) იყო იერუსალიმში პატრიარქის დოსითეოსის დროს; მძიმედ გახდა ავად და ჯვარის მონასტრის ძმათა თავდადებულ მოვლით განიკურნა. ამან დაასაფლავა ალავერდის ტაძარში ასტრაბადიდან მოსვენებული გვამი თეიმურაზ I მეფისა († 1663 წ.) დიდის სამღვდელოთა კრებით (არჩილ. 174 გვ.). განაახლა ტფილისში ანჩისხატის ტაძარი და ააშენა სამრეკლო 1675 წ. (Опис. древ. гор. Тифл. Іосс. 25 გვ.). მიიცვალა 1676 წ. სექტემბრის 22-ს ქ. ტფილისში.

პ. ცხკილოელი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია“, № 119.

---

## კორესპონდენცია

—

**ლეჩხუმი.** სამწუხაროდ ჩვენდა, თავისუფალ სვანეთში ამ ჟამად დიდი შიმშილობაა ჩამოვარდნილი და ხალხი თითქმის უკიდურესს განსაცდელშია. ეს სამწუხარო შედეგი აუცილებელი იყო, რადგან თავისუფალ სვანეთში წარსულს 1892 წლის ჰირნახულის მოსავალმა, თითქმის, 92 ათასის ფუთით დაიკლო ჩვეულებრივ წლიურ მოსავალზედ. ან რა წყაროთი, რა ღონისძიებით უნდა შეევსოთ საბრალო სვანებს ეს დაკლებული, 92 ათასი ფუთი ჰირნახული, რომ წრეულსაც არ დასტყობოდათ შიმშილი? შარშანდელი მოსავალი, რაც უნდა უხვად მოეცა სვანეთის მწირსა და გაღარიბებულს ნიადაგს, მაინც ვერ დაჰფარავდა ზემოაღნიშნულს ზარალს წინა წლისას, მაშასადამე, ეს შავბედითი დღე სვანებისათვის აუცილებელი იყო.

ამ გარემოებას იმ თავითვე შესაფერი ყურადღება მიაქცია იმ ჟამად ჩვენის მაზრის უფროსად ნამყოფმა ბ-ნმა ალშიბაიამ, რომელმაც, გარდა იმისა, რომ რამდენიმე ათასი ფუთი სიმინდი შეკრიბა ლეჩხუმში და მიაწოდა სვანებს, შუამდგომლობა დაიწყო, საცა ჯერ იყო, რომ მთავრობას ესესხებინა დაზარალებულ სვანებისათვის რამდენისამე წლის ვადით ხალხის გამოსაკვებად რამდენიმე ათასი მანეთი ფული. ეს შუამდგომლობა უკვე შეწყნარებულ იქმნა და უმაღლესმა მთავრობამ მისცა სესხად სვანებს ოთხის, თუ ხუთის წლის ვადით ოცდა-ერთი ათასი მანათი. პირველს ერთს წელიწადს სრულიად უსარგებლოდ და დანარჩენს წლებში-კი მანათი სამ კაპეიკად. ეს ფულები უნდა გაანაწილოს ხალხში საჭიროების შესაფერად კომისიამ, რომელიც უნდა შესდგეს: მაზრის მმართველის, მომრიგებელ-შუამავალის, ადგილობრივ პოლიციის ბოქაულის და სხვა მცოდნე და კეთილ-სინიდისიერ მოხელეთა მონაწილეობით.

რაღა თქმა უნდა, შიმშილისაგან ღონე მიხდილ სვანებისათვის ამ ჟამად ზემოხსენებულის ფულის მიშველება, სულის მომაბრუნებელი ღვთის წყალობა და ნუგეშია, მაგრამ აქაც ბედი ისე ჰლალატობს საბრალო ხალხსა, რომ ღონისძიებას არ აძლევს მთავრობის მიერ მინიჭებულის შემწეობით დაუყოვნებლივ ისარგებლოს, ამის მიზეზი გახლავთ სვანეთის მთებზედ დიდის თოვლის გამო გზების შეკვრა. წელს საზოგადოდ ჩვენში ძლიერ დიდი თოვლი მოვიდა და განსაკუთრებით სვანეთში ხომ უფრო მეტი. ლატფარის მთაზედ, რომელზედაც გადადის თავისუფალ სვანეთში მიმავალი გზა იმ სიმაღლე თოვლი სძევს თურმე, მარტო ბუნებას რომ მივაკუთნოთ მისი გადნობა და გზის გაკვალვა, ძნელად თუ ივნისის გასვლამდე მოესწრონ გზის გახსნას, რომ სვანს ლუკმის სასყიდლად ლეჩხუმში შეეძლოს ჩამოსვლა და სურსათის სახლში ამოტანა. ამისათვის დიდად საჭიროა ადგილობრივმა მთავრობამ გამოიჩინოს თვისი მხნეობა და ამ მხრით უშველოს რამ გაჭირვებულ სვანებს და გააჭრევინოს გზა ხსენებულს მთაზედ.

დღევანდლამდის ალპანის სადგურიდგან ცაგერამდის გაყვანილ გზა ტკეცილის კეთება, რომელიც თვრამეტის ვერსის სივრცეა, დაკისრებული ჰქონდათ ადგილობრივ სოფლის საზოგადოების გლეხ-კაცობას; ეხლა-კი ამ მხრით ზემოხსენებული ხალხი თავისუფალი შეიქმნა: ეს გზა შეუკრთეს დანარჩენ სახელმწიფო საფოსტო გზების უწყებას და ამიერიდამ სახელმწიფო გზების გამგეობამ უნდა აკეთოს, რასაკვირველია, ხაზინის ხარჯით. ამ თავით აღნიშნულის გზის გასაკეთებლად დანიშნულია ოცდა-შვიდი ათასი მანეთი და ვაჭრობაც იყო დანიშნული 12 ამ თვეს. ჩვენ ჯერ არ ვაცით, ნამდვილად ვინ დაირჩინა იჯარა და ვინ უნდა მიიღოს დანიშნული ფული, მაგრამ ის-კი ნამდვილად ვიცით, რომ დანიშნული ფული თუ საკუთრად მოხმარდა გზას და გონიერი და მცოდნე ხელმძღვანელი გამოუჩნდა, ძლიერ კარგი და საიმედო გზა გაკეთდება ალპანიდამ ცაგერამდის და ეგ ხომ დიდი შეღავათი იქნება იმ მოგზაურთათვის, რომელიც ალპანის სადგურიდგან ცაგერში უნდა მივიდეს..

ქაიხოსრო გელოვანი

—

**რაჭა.** 25 მაისი. თქვენი მტერი იყოს, რომ წელს რაჭველებს ცუდი წელიწადი გვქონდეს; ჯერ ძლივს ძლიობით გადავრჩით საშინელს ყინვიანსა და თოვლიანს ზამთარს და ახლა ამ გაზაფხულმა სწორედ საქმე გაგვიჭირა. თითქმის ზაფხულია და ტერმომეტრი რეომიურისა ოთახში აჩვენებს ხან 9, ხან 10 და ხან 13 გრადუსს სითბოს. ეს რამდენი ხანია, რომ სულ გაჟინებული წვიმები მოდის და თან სიცივე მოსდევს, ახლომახლო დიდი მთები უკვე ჩამოსთოვლა და იქნება სოფლადაც გვესტუმროს. მოსავალს, ნამეტნავად სიმინდს, მშვენიერი პირი უჩანდა, მაგრამ ახლა დიდის სინოტიობით გაყვითლდა, პური ჯეჯილად ზოგან ძალიან კარგია და ზოგან ძალიან ცუდი; ვენახი საზოგადოთ კარგათ არის გამოტანილი. ნახევარს ხალხს, უკვე დიდი ხანია, რაც სიმინდი შემოელია და თავიანთ ოჯახობას ნასყიდის საზრდოთი ჰკვებავენ.

რაჭაში კაცი რომ ავად გახდება, ან უბრალო სოფლის ექიმებს უნდა მიჰმართოს, ან ბედის ანაბარა უნდა დარჩეს; თუ მორჩება, ხომ კარგი, თუ არა და, რა გაეწყობა, მოკვდება და ის იქნება. რაჭაში სულ 60000-მდე სული ითვლება და ამოდენა ხალხის მოსავლელად მხოლოდ ერთი ექიმი არის დანიშნული, რომელიც ონში იმყოფება მუდამ. ამ ერთს ექიმს უეჭველია, რომ არ შეუძლიან რაჭის ხალხის მოვლა და პატრონობა. ამისი მიზეზი მაზრის სივრცის სიდიდეა და ის რომ თითონ ხალხს არ შეუძლიან იმდენის ფასის გადახდა რამდენიც უნდება ექიმს 40, 50, ვერსის და მეტს მანძილზედ წასვლისათვის ავადმყოფთან (ეს ფეხის ქირა შეადგენს 25, 20, 15 მან.) ვინც შეძლებულია, ის, რასაკვირველია არ შეუშინდება ამ ხარჯს, მაგრამ ვისაც არ შეუძლიან, ის თავისს ავადმყოფის ბედ-იღბალს უფრო განგებას მიანდობს ხოლმე.

ამ ბოლო ხანებში ცოტა არ იყოს, თანდათან გვიადვილდება ჩვენი გაჭირვება. წინად წამლისა და მკურნალისათვის უსათუოდ ონში უნდა წასულიყო კაცი, ჯერ უნდა წამოეყვანა მკურნალი და შემდეგ ისევ უნდა გაბრუნებულიყო წამლისათვის. ახლა-კი რაჭაში, თუმცა მკურნალი ჯერ კიდევ ერთია, მაგრამ აფთიაქი დაარსდა სამს ადგილზედ: დ. ონში (ზემო რაჭა), სოფ. ამბროლაურში (შუა რაჭა) და სოფ. ბუგეულში (ქვემო რაჭა).

ამას გარდა ამ ბოლო ხანებში მთავრობას გადაუწყვეტია და კიდეც დაუმტკიცებია, რომ სოფ. ამბროლაურ'ში 1895 წლის 1 იანვრისთვის გამართული უნდა იქნეს ავადმყოფთ მისაღები სადგომი, სადაც უსათუოდ უნდა იყოს ერთი მკურნალი და ერთი ფერშალი. ეს ფრიად სასიამოვნო ამბავია ჩვენთვის, რადგანაც უწამლობითა და მოუვლელობით სიკვდილის შიში აღარ გვექნება.

სოფ. ამბროლაური ისეთს ადგილას მდებარეობს, რომ ქვემო და შუა რაჭა ყოველის მხრიდგან კარგად მოსწვდება და ამისათვის დიდად სასარგებლო და საკეთილო იქნება მცხოვრებლებისათვის, რომ აქ იყოს დაარსებული მომრიგებელი სასამართლოც. ბევრი სოფლები 60, 50, 40 ვერსზედ არის მოშორებული ონიდგან და ამ სიშორეზე უნდა იაროს კაცმა, როდესაც საქმე ექნება. ზაფხულში კიდევ არაფერია, მაგრამ ზამთარში სწორედ სასჯელია აქ სიარული, ნამეტნავათ ფეხით; ორი-სამი დღე უნდა მოანდომოს კაცმა სულ უბრალო საქმესაც-კი.

აგრეთვე ძლიერ სასურველია, რომ სასოფლო მმართველობა სოფ. ამბროლაურიდგან არ გადიტანონ, რადგანაც ახალის წესით ამბროლაურის შეერთებულს საზოგადოებაში უნდა დაარსდეს ორ-კლასიანი სასწავლებელი.

გ. ლორთქიფანიძე

---

# რუსეთი

—

ჩვენ უკვე ვაცნობეთ მკითხველებს, რომ კომისიას, რომელიც არსებობს პეტერბურგის წერა-კითხვის კომიტეტთან, განზრახვა აქვს, როდესაც შეასრულებს ცნობებთ შეკრებას, ამ წლის დამლევს ვრცლად გამოიკვლიოს მდგომარეობა პირველ დაწყებითი სწავლისა რუსეთში. კომისიამ, რომელიც ეხლა ამ საგნისათვის მოსამზადებელ მასალის შემუშავებას შეუდგა, კიდეც შეადგინა გეგმა ცნობათა შესაკრებ ნუსხისა თითოეულის სასწავლებლისა. იმისათვის, რომ უფრო წარმატებით წაიყვანოს ეს საქმე, კომისიას კიდეც დაურიგებია ეს ნუსხა წინდაწინ განსახილველად საერო განათლების asპარეზზედ მოღვაწეობისათვის, სოფლის მასწავლებელთა, სტატისტიკის შემადგენელთათვის და სხვ. და უთხოვნია შეატყობინონ თავიანთი აზრი და შენიშვნა იმის შესახებ. როდესაც კომისიას ეს ცნობები მოუვა, მაშინ სავსებით შეიმუშავებს ამ ნუსხას და დაურიგებს, ყველა სასწავლებლების ასაწერად.

—

ს. აშლიკში, ტობოლის ოლქში, არსებობს თურმე ერთი უცნაური სიფხიზლის საზოგადოება. ყოველ წლივ სექტემბერში რამდენიმე გლეხკაცი და ადგილობრივი საეკკლესიო კრებული იხდიან პარაკლისს და ერთმანეთს სიტყავს აძლევენ, რომ მთელის წლის განმავლობაში ღვინო არ დალიონ. თუ ვინმე იმათგანმა ეს პირობა არ შეასრულა, ჯარიმას იხდის ეკკლესიისთვის 25 მ., გარდა ამისა, ყველა წევრმა საზოგადოებისამ „თვალებში უნდა მიაფურთხოს“ ეს პირობა იწერება ქაღალდზედ და პირი ამ დედნისა ყველა წევრს ურიგდება. ის პირნი, რომელნიც სასმელს ან ცოტას სმენ და ან სულ არა სმენ, წევრად არ მიიღებიან. წევრნი ამ საზოგადოებისა გასაოცარის მეგობრობით ექცევიან ერთმანეთს, ხშირად დადიან ერთმანეთთან,მაგრამ არაყს-კი არა სმენ. მრავალი გლეხკაცი აცხადებს სურვილს ამ საზოგადოებაში წევრად შერიცხვისას, მაგრამ გამოუცდელად არავის იღებენ, წელიწადში ერთხელ-კი მთელი საზოგადოება უთუოდ თვრება. რადღესაც წელიწადი სრულდება პირობის შეკვრისა და ერთის წლით დადებულს პირობას ვადა გასდის საზოგადოების მომეტებული წევრნი ერთად მოიყრიან თავს, ჰლოთობენ, მეორე დღეს კიდევ პარაკლისს იხდიან და ახლა კიდევ ახალს პირობასა სდებენ ერთის წლის ვადით.

---

## უცხოეთის წვრილი ამბავი

—

იმპერატორს ვილჰელმს, რომელიც მოგზაურობისა დიდი მოყვარულია, როგორც ისმის განუზრახავს ჰაეროსტატით მოგზაურობა. გრეიფსვალდიდგან უნდა აუშვან ჰაეროსტატი. კარის-კაცებს საშინლად სწყინთ ეს განზრახვა ახალ-გაზდა ხელმწიფისა; იმათ ეშინიანთ, რომ სახელი და გავლენა გვირგვინისა არ დაეცეს ასეთის საქციელისა გამო და, გარდა ამისა, ერიდებიან იმ მოსალოდნელ ხიფათს, რომელიც შეიძლება ამგვარ ფრენას მოჰყვეს.

მაგრამ იმპერატორმა კარგად უწყის თვით, თუ რითი შეიძლება დაეცეს სახელი და გავლენა გვირგვინისა და რითი-არა; რაც შეეხება ხიფათის შიშს, რომელიც შესაძლოა ამ მოგზაურობას მოჰყვეს,-აი, სწორედ ეს შიში და განსაცდელი იზიდავს კიდევაც ვილჰელმ II-ს.

# დეპეშა

7 ივნისი

**პეტერბურგი.** გამოცხადებულ იქმნა, რომ მოისპოს დროებით გამოცემულ საკრედიტო ბილეთები 75 მილ.

**პარიჟი.** ანარქისტი მენიე, რომელიც ინგლისმა გადასცა საფრანგეთს, უკვე ჩამოიყვანეს პარიზში.

**ბელგრადი.** ხარკის შემკრებელი ალექსანდრე შუიოზიჩი დაპატიმრებულ იქმნა იმას გამო, რომ ყარაგიორგიევიჩების შეთქმულობაში მონაწილეობას იღებდა. ყველა დაპატიმრებულს სახელმწიფო ღალატში მონაწილეობის ბრალი ედებათ.

**ბრიუსსელი.** როიალის ქუჩის კერძო სახლში ფორტიტი ააფეთქეს; ადამიანთა უბედურება არა მომხდარა; სახლი შიგნიდგან დანგრეულია.

8 ივნისი

**პეტერბურგი.** პეტერბურგის ბირჟა. გირავნობის ფურცელი სათავად-აზნაურო მამულთა ბანკებისა: ტფილისისა: 6% —101½ მან. ჰყიდულობენ. 5%—101 მან. ჰყიდიან. ქუთაისისას: 6%—101½ მანეთად ჰყიდიან, 5%—101½ მანეთად ჰყიდულობენ. 5% ობლიგაციები ტფილისის საურთიერთო საზოგადოებისა—99¾ მანეთად ჰყიდულობენ.

**ლონდონი.** ვალტონში ეწვევა მემკვიდრე ცესარევიჩი პრინცს ლუდვიგ ბატენბერგს. დედოფლის ბრძანებით სანამდის მემკვიდრე ინგლისში იქნება დანიშნულია მის უმაღლესობასთან სამეფო ზინდართ უხუცესი ჰენრი მუნეი.

**კაირო.** ქედივი შაბათს სტამბოლს გაემგზავრება. თან ახლავს მუხტარ-ფაშა.

პეტერბურგის ბირჟა, 7 ივნისი

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,48 | 7,51 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 149½ | 150¼ | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . | — ,, | — ,, | 248¾ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 225½ |
| 4% მესამე სესხისა. . | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | — ,, | — ,, | 190¾ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% . . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| ქუთაისის ბანკის 6%. | — ,, | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . | — ,, | — ,, | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | — ,, | — ,, | — ,, |

# განცხადებანი

ვეჯე ის ქუჩის დასაწყისში, ნიკოლოზის ქუჩაზედ, საგინაშვილის ქვრივის სახლში, № 21, „ივერიის“ რედაქციის გვერდით, პირველ იანვრიდამ იძლევა ქირით სარდაფი თავის გამართულობით ანუ გაუმართავად. მსურველს შეუძლიან ფასი ჰკითხონ „ივერიის“ რედაქციაში მაქსიმე შარაძეს. (10—2)

---

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ-დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 11—12 საათამდი, ვისაც სჭირს სნეულებანი: სახირურგიო ვენერიული და სიფილისი.

**ყ. მ. ჩიქოვანი**, 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა და ნერვებისა—ტანში ტკივილებისა.

**დ. გ. რუდკოვსკი**, 10—11 საათ. სნეულებანი: შინაგანი, ბავშვებისა და დედათა სქესისა.

**ი. ფ. პროტასევიჩი**,—11½—12½ საათ. სნეულებანი: ყურ-სა, ყელის, ცხვირის და გულ-მკერდისა.

**ექიმი ქალი ა. მ. ტურბოვიჩი.** 12½—1 საათ. სნეულებანი. დედათა სქესისა.

**ა. ბ. კარაპეტიანცი**, 1—1½ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. გურკო**, 6—7 საათ. სნეულებანი: ვენერიული და შინაგანი.

**ბ. ა. ნავასარდიანი**, 7—7½ საათამდის.

**გ. ი. ფრანციუსი**, 7—7½ საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, და ცხვირისა, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

რჩევა-დარიგების და რეცეფტის დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმის და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

---

გამოვიდა და ისყიდება
ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში
ახალი წიგნი

## საქართველო

და

მისი ისტორიული წარსული დრო
**ვ. პოტტოსი**
თარგმანი ი. ბაქრაძისა
ფასი ორი აბაზი
იქვე: „მოსე მწერალი“, მოთხრობა ე. ნინოშვილისა
ფასი ერთი აბაზი
და
ყოველგვარი ქართული წიგნები
(3—1)

---

## „სიჭაბუკის ცოდვა“

ფრიად კარგი და გამოსაყენებელი წიგნია იმათთვის, ვინც დასნეულებული და დაავადებულია ონანიზმითა და თავაშვებულის ცხოვრებით.

**თხზ. დ—რის ლორენცისა.**

რუსულად გამოცემული დ—რ გ—ლის მიერ.

ფასი ერთი მანათი.

ამ სასარგებლო წიგნში ბევრი საშუალებაა დასახელებული ზემოხსენებულ მანკის შედეგის ასაცილებლად და დასნეულებულის ჯანისა და ღონის დონეზედ დასაყენებლად.

წიგნი ნება-დართულია მოსკოვის საცენზურო კომიტეტის მიერ.

საწყობი იმყოფება ოტტო ასპერგერთან ლეიპციგს Otto Asperger Leipzig (საქსონიას). უცო-ქვეყნელნი წიგნის გაგზავნის ფასს იხდიან.

---

კავკასიის მეორე ადგილობრივი მსროლელთა დრუჟინა სთხოვს იმათ, რომელთაც ჰსურთ და ნება აქვთ იჯარით აიღონ დრუჟინისთვის საჭირო ხორაგეულობის მოტანა, ესე იგი ხორცისა, კარტოფილისა, ხახვისა, მარილისა და სხვ. რაც-კი მოუნდებათ დრუჟინას საჭმლისთვის, აგრეთვე ნავთისა 1 ოქტომბრიდგან 1894 წ. 1 ოქტომბრამდე 1895 წ. დრუჟინა დგას გორში.

განცხადება გამოგზავნონ დაბეჭდილს კონვერტში 20 ივნისამდე ქ. გორში.

ვაჭრობა მოხდება განუმეორებლად 21 ივლისს, დილის 10 საათზედ, გორში, დრუჟინის კანცელარიაში, სამეფო ქუჩაზედ, ალექ. ღამბარაშვილის სახლში. დაწვრილებით პირობების შეტყობა შეიძლება კანცელარიაში. (3— )

---

გამოვიდა და ისყიდება
ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში
ახალი ბროშურა კარიკატურებით
**ჩვენებური**

## რამე-რუმე

ფიქრი და შენიშვნანი
პატარა კაცისა
ფასი ერთი აბაზი

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“
**წიგნის მაღაზიაში**
ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ახალი ვარიანტი წმ. ნინოს ცხოვრებისა . . | „ | 40 |
| ბუნების კარი ყდით ი. გოგებაშვილისა . . . | „ | 90 |
| გეომეტრია II მ. ყიფიანისა . . . . . . | „ | 50 |
| ისრამიანი.. . . . . | 1 | 50 |
| თხზულ. რ. ერისთავისა I | 1 | „ |
| თხზულ. რ. ერისთავისა II | „ | 40 |
| კოკორი, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სახლობაში სახმარებელი, ი. გოგებაშვილისა | „ | 10 |
| კრილოვის არაკები, თარგ. აკაკისა . . . . . | „ | 30 |
| იგივე მშვენიერის ყდით . | „ | 80 |
| მოთხრობანი ვაჟა-ფშაველასი. . . . . | „ | 30 |
| შექსპირის დრამები ს. ყიფიანისა . . . . . | „ | 20 |
| პატარა მოამბე II ალ. მირიანაშვილისა . . . | „ | 10 |
| რობინზონ კრუზო, თარგ. ან. თუმანიშვილისა. . | „ | 30 |
| რუხი მგელი გ. წერეთლისა . . . . . . | „ | 15 |
| ქილილა და დამანა . . | 3 | „ |
| შალვას თავგადასავალი ცახელისა . . . . . | „ | 15 |
| ცვარი შ. მღვიმელისა . | „ | 30 |
| წითელი ფარანი, თარ. ანდრონიკაშვილისა . . | „ | 15 |
| ხომლი, ანუ რჩეულთა ლექსთა კრება, ი. გოგებაშ. | „ | 30 |
| ხატაური ან. თუმანიშვილისა. . . . . . | „ | 10 |
| კონა ი. გოგებაშვილისა . | „ | 50 |
| კუნწულა, ანუ მოთხრობანი მოზრდილ ყრმათათვის ი. გოგებაშვილისა . | „ | 40 |
| შინაური საქონელი და იმისი მოვლა-მოშენება ი. როსტომაშვილისა .. . | „ | 5 |
| ვიქტორ-ჰიუგოს რომანიდამ „ოთხმოც-და-ცამეტი წელი“ დ. ყიფიანისა. . . . . . | „ | 20 |
| ლექსები ვახტ. ორბელიანისა . . . . . . . | „ | 20 |

---

# „ივერია“

ამ 1894 წელს გამოდის ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით. . . . | 10 მ.—კ. | 6 თვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 ,, . . . | 9 ,, 50,, | 5 ,, . . . | 5 ,, 50,, |
| 10 ,, . . . | 8 ,, 75,, | 4 ,, . . . | 4 ,, 75,, |
| 9 ,, . . . | 8 ,, —,, | 3 ,, . . . | 3 ,, 50,, |
| 8 ,, . . . | 7 ,, 25,, | 2 ,, . . . | 2 ,, 75,, |
| 7 ,, . . . | 6 ,, 50,, | 1 ,, . . . | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დასაბეჭდად**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7½ საათამდე.

რედაქცია იმყოფება: ნიკოლოზის ქუჩაზე, 21.

---



ახლად მოგონილი მაშინა „სლავა“ (დიდება), რომელიც უბრალ საწვავ ნავთით მოჰყავთ მოძრაობაში.

## ტურბინები

წყალის ამოსაყვანად, ჩარხს გაცილებით სჯობია და 2-დგან 200-მდე ცხენის ძალა აქვს.

В. Б. Жуковскій С.-Петербургъ
10, рота, 16.

---



## VÉRITABLE BÉNÉDICTINE

(ნამდვილი ლიკორი ბენიდიქტინი
Fécamp-ის სააბატოსი (საფრანგეთში)
საუცხოო, ადამიანის მომღონიერებელი, საჭმლის მონელების ხელ-შემწყობი და მადის აღმძვრელი.
უველაზედ საუკეთესო ლიკიორთა შორის

VÉRITABLE LIQUEUR BÉNÉDICTINE
Marques déposées en France et à l'Étranger
A. Legrand aîné

ყოველთვის მოითხოვეთ, რომ ოთხ-კუთხი იარლიკი ჰქონდეს დაკრული ბოთლს ქვემოდგან უფროსის დირექტორის მიერ ხელ-მოწერილი.

**ისყიდება** საუკეთესო გასტრონომიის მაღაზიებში და ყოველ ქალაქის უმთავრესს ღვინის საწყობებში.

---

გამგეობა ტფილისის ქონების ცეცხლისაგან საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებისა

აუწყებს ბბ. წევრთ ამ საზოგადოებისას, რომ

## საგანგებო კრება

რადგან არ მოხდა 29 მაისს, ამიტომ ამ საზოგადოების § 27 დაწესებულების ძალით, გადადებულ იქმნა და

**დანიშნულია 12 ივნისს**

კვირას, დილის 10 საათზედ ქალაქის საბჭოს დარბაზში.

Дозволено цензурою Тифлисъ, 8-го Іюня 1894 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.